ლელო

№ 185 (10354)
29 სექტემბერი, შაბათი, 1990 წ.

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის ორგანო
ЛЕЛО — ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● ფასი 8 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბედნიერ ნაოსნობას გისურვებთ, „ფაზისო“!



ნიუ-იორკს კეთილი ნების მისიით ეწვია საბჭოთა აფრიანი ნავი „ფაზისი“. მან მონაწილეობა მიიღო რამდენიმე საჩვენებელ რბოლაში შეერთებული შტატების ყველაზე სწრაფ ნავ „ამერიკის გამოწვევასთან“, რომელიც აშშ-ში ცნობილი ტელეპროდიუსერის ტედ ტერნერის შვილს ეკუთვნის. საბჭოთა ნავმა ორ რბოლაში გაიმარჯვა, ერთში კი დამარცხდა.

„ფაზისის“ მიერ ატლანტიკის ახლანდელ გადაცურვას ორი კონკრეტული მიზანი აქვს: გამოინახოს დამატებითი სახსრები (მათ შორის, ვალის გადასახდელადაც) და დააინტერესოს ამერიკელი სპონსორები და აფროსნები 1993 წელს დაგეგმილ დედამიწის გარშემო აფრიანი ნავებით რბოლაში ერთობლივი მონაწილეობის მიღებით.

იახტა „ფაზისს“ დღეს მთელ მსოფლიოში იცნობენ. იგი აიგო ფოთის გემთსაშენში და გახლავთ პირველი საბჭოთა ნავი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო „უითბერდის“ დედამიწის გარშემო რბოლაში. ეს ნაოსნობა იოლი არ იყო: სერიოზული ფინანსური სიძნელეები, მრავალეროვნული ეკიპაჟის გამოუცდელობა, შკიპერ ალექეი გრიშჩენკოს საიდუმლოებებით მოცული თვითმკვლელობა პუნტა-დელ-ესტეში (ურუგვაი). ეკიპაჟმა გაუძლო ყველა გამოცდას, პირველ ათეულში დაკავებული ადგილი კი სიმტკიცისა და ნებისყოფის საზღაური გახლდათ — „ახალბედა“ ნავს ასეთი მაღალი ადგილი საერთო ჩათვლაში ჯერ არ დაუკავებია.

ამჟამად „ფაზისი“ ახალი რბოლებისათვის ემზადება. ნავი გეზს აიღებს ამერიკის სანაპიროს გასწვრივ — ატლანტიკ-სიტი, ბოსტონი, ნიუპორტი, ბალტიმორი, პალმბიჩი. წინ კი სანუკვარი ოცნებაა — 1993 წლის დედამიწის გარშემო რბოლაში მონაწილეობა. ბედნიერ ნაოსნობას გისურვებთ, „ფაზისო“!

ვ. სუხოი,
ნიუ-იორკი.

ღირსეულად უნდა იარო



საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრების ყოველი ტურნე საზღვარგარეთ განსაკუთრებით საყურადღებო და სასიხარულოა — ჩვენი მორაგბეები ხომ კარგა ხანია დამოუკიდებლობას ესწრაფვიან, საამისოდ უნარიანადაც ირჯებიან და ახლოსაც არიან მიზანთან, ნებისმიერი საზღვარგარეთული ტურნე კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია დასახული მიზნისაკენ საკალ გზაზე.

ამ გზაზე, ცხადია, ღირსეულადაც უნდა იარო — მარცხითა და უნიათო თამაშით ვერავის მოაწონებ და დაახსომებ თავს. ასე, რომ, არც ტურნეთა სპორტული შედეგები გახლავთ მეორეხარისხოვანი საქმე. ამიტომ იყო, რომ ფრიად გაგვახარა გუშინ მიღებულმა ამ ცნობამ: იტალიაში, ქალაქ კატანიაში, დასრულდა მორაგბეთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი. ამ პრესტიჟულ შეჯიბრებაში საასპარეზოდ წელს მიწვეული იყვნენ ინგლისის, კორეოდ. ბირმინგემისა და კემბრიჯის უნივერსიტეტების გუნდები და საქართველოს ნაკრები. მასპინძელთაგან იასპარეზა იტალიის გუნდმ „XV პრეზიდენტები“. ჩვენი მორაგბეების სიცილიაზე მიწვევის თაოსანი იყო კატანიას კლუბ „ზაგარას“ პრეზიდენტი, რომელიც ამ ტურნირის ორგანიზატორი გახლავთ. სარაგბო სამყაროში ბევრთათვის უცნობმა ქართველმა სტუმრებმა არც თავი შეირცხვინეს და არც მათი „მოპატიჟე“ — საქართველოს ნაკრების წევრებმა დაამარცხეს ბირმინგემელები, „ყაიმზე შეთანხმდნენ“ კემბრიჯელებთან და ამ ოთხთა ტურნირში პირველი ადგილი და ფოტოზე აღბეჭდილი ეს საპატიო თასი მოიპოვეს (წერილს ქართველ მორაგბეთა ამ წარმატებაზე „ლელოს“ უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ).

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

აზიის XI თამაშები

დაემხო ექვსი წლის წინანდელი რეკორდი

პეკინი. აზიის თამაშებზე ყოველი კალენდარული დღე კონტინენტის რეკორდებით და სხვა მაღალი შედეგებით აღინიშნა. მაგრამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა ველოსიპედისტთა ტურნირმა, რომელზეც ერთ კილომეტრზე რბოლაში ქალთა შორის მსოფლიო რეკორდი გაუმჯობესდა.

„ჩანპინის“ ველოდრომზე უკვე თერთმეტ ველოსიპედისტს ჰქონდა დამთავრებული რბოლა, როცა გამოიძახეს ჩინელი ჩჟოუ ლინმეი. რეკორდზე ამჯერად არავინ ფიქრობდა, ვინაიდან ბეტონისაფარიან ტრეკზე საერთოდ ძნელია საერთაშორისო კლასის შედეგის ჩვენება. მაგრამ მოხდა ნამდვილი სასწაული. ლინმეიმ ქარივით ჩაიქროლა ხალხით სავსე ტრიბუნების წინ და ელექტრონულმა ხელსაწყოებმა ფანტასტიკური შედეგი აჩვენა — 1.13,899. ჩინელმა სპორტსმენმა გააუმჯობესა ექვსი წლის წინანდელი მსოფლიო რეკორდი, რომელიც ესტონელ ერიკა სალუმიაეს ეკუთვნოდა.

ამ წარმატების შემდეგ გახარებულმა რეკორდსმენმა განაცხადა: „წვრთნაზე უკეთეს დროსაც ვაჩვენებდი, მაგრამ ვარჯიშები, მოგეხსენებათ, ერთია, შეჯიბრება კი სულ სხვა რამ გახლავთ და მაინც მსოფლიო რეკორდის დამყარება ჩემთვის არ იყო მოულოდნელი. საამისოდ მზად ვიყავი ფიზიკურადაც და, რაც არა ნაკლებ მნიშვნელოვანია, ფსიქოლოგიურადაც“.

საცურაო აუზში ყოველი ფინალური გაცურვის შემდეგ მსაჯები ან თამაშების, ან კონტინენტის რეკორდებს აფიქსირებენ. გრძელდება კალათბურთელთა, მოკრივეთა, მოფარიკავეთა და ფეხბურთელთა ტურნირები.

სასტუმრო „პეკინში“ კი, რომელიც ქალაქის ცენტრში მდებარეობს, აზიის ოლიმპიური კომიტეტის გენერალური ასამბლეის სხდომა ჩატარდა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 37-მა ეროვნულმა ორგანიზაციამ. დღის წესრიგში იდგა ორი საკითხი: მომავალი თამაშების დედაქალაქისა და აზიის ოლიმპიური კომიტეტის ახალი პრეზიდენტის არჩევნები. ძველი პრეზიდენტი, ქუვეითელი პრინცი ფაჰდი, როგორც ცნობილია, ერაყის ჯარების წინააღმდეგ ბრძოლაში დაიღუპა.

აზიის მეცამეტე თამაშების დედაქალაქად აირჩიეს ბანგკოკი. ამ კანდიდატურას მხარი დაუჭირა დელეგატთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ. ახალი პრეზიდენტის დასახელებისა და მისი არჩევის საკითხი კი აზიის ოლიმპიური კომიტეტის მომავალი სესიისათვის გადაიდო, რომელიც ნახევარი წლის შემდეგ გაიმართება საუდის არაბეთში.

მიულოცეს, დაუჯილდოვეს

ჰაბუკი ქართველი წყალბურთელების გამარჯვებამ მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე ქართული სპორტის ყველა გულშემატკივარი გაახარა, წყალბურთის სპეციალიზებული რესპუბლიკური სკოლა, რომლის აღზრდილებიც არიან სპარტაკიადის ჩემპიონები, სამეცნიერო-საწარმოო პედაგოგიური გაერთიანების სისტემაში შედის. გაერთიანების კოლექტივმა სტუმრად მიიწვია ჰაბუკი წყალბურთელები და საზეიმო ხალამი მოუწყო მათ. პედაგოგიური გაერთიანების დირექტორის მოადგილემ ლევან ჩიქვანაიამ გამარჯვება მიულოცა წყალბურთელებს, მათ მწვრთნელებს და გადასცა ფახიანი საჩუქრები. ეს სურათი ამ შეხვედრაზეა გადაღებული: ლევან ჩიქვანაია ჯილდოს გადასცემს ნაქართველოს წყალბურთელთა გუნდის წევრს გალატიონ ლაითაძეს.

(წერილს მოსწავლეთა სპარტაკიადაზე ქართველი წყალბურთელების წარმატებასა და ამ გუნდის შემდგომ პერსპექტივაზე გთავაზობთ მე-2 გვერდზე).

რი ყეზე—საასპარეზოდ

ფლეულნაც გაჭიანურდა ახალი სასწავლო წლის დაწყების პროცესი. მოსწავლეებისა და სტუდენტების დიდმა ნაწილმა ტრადიციული პირველი სექტემბრის სიხარული მხოლოდ 17 სექტემბერს განიცადა. ესე თუ ისე, დაიწყო ახალი სასწავლო წელი და სწორედ ამ დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებს უმასპინძლა რიყის სპორტულმა მოედნებმა. ასპარეზობები თბილისის სპორტკომიტეტის ინიციატივით მოეწყო და საინტერესოდაც წარიმართა. მონაწილენი ერთმანეთს ეცილებოდნენ პირველობას ბაგირის გადაძალვაში, სიმძიმეების აწევაში, მკლავჭიდში, ჭადრაკში... შემდეგ კი ფალავნებმა სცადეს ბედი ნახერხმოყრილ სარბიელზე. ბოლოს მინიფეხბურთის მოყვარულებს დაეთმოთ ასპარეზი.

შემდგომისათვის სასურველია ორგანიზატორებმა თბილისური სიცხეც გაითვალისწინონ. მონაწილეებიც და მცირერიცხოვანი მაყურებელიც სიცხემ მოჭანცა, მაგრამ ახლომახლო არ იყო არც გამაგრილებელი წყლები, არც საჩრდილობლები.

საღამოს კი საქალაქო სპორტკომიტეტი კიდევ ერთი ღონისძიების თაოსნად მოგვევლინა. ვერის ბაღის კალათბურთის სასახლეში დაჯილდოვეს მოსწავლეთა XVIII საკავშირო სპარტაკიადაში გამარჯვებული თბილისელი სპორტსმენები. თბილისელმა მოზარდებმა სასპარტაკიადო ტურნირებში 15 ოქროს, 13 ვერცხლისა და 20 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. ჩემპიონებს და პრიზიორებს წარმატებები მიულოცეს და საჩუქრები გადასცეს ვეტერანმა სპორტსმენებმა: დავით ცომაკურიძემ, ქეთევან ლოსაბერიძემ, რუსუდან სიხარულიძემ და სხვებმა.

ვაია მაჭავარიანი

* * *

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები



„დიდი სპორტის“ ზღურბლზე

ქამი ფიქრისა,
ქამი განსჯისა

როცა მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის წყალბურთელთა ტურნირის ფინალური მატჩიც დამთავრდა და საქართველოს ნაკრებმა ულამაზეს ბრძოლაში დაამარცხა ძლიერი მეტოქე — მოსკოველი თინატოლები, ჩვენი ბიჭების საუცხოო თამაშით მოხიბლულმა წყალბურთის ერთმა სპეციალისტმა აღტაცებით და თავდაჯერებით შესძახა: ეს ბიჭები ხომ უმაღლესი ლიგის „ჭაპანსაც“ ღირსეულად გასწვევენ!

ეს შეძახილი, ალბათ, უფრო დაუოკებელი ემოციების ნაყოფი იყო, და არა სპეციალისტის მიერ ათასგზის განსჯილი და ნააზრევი დასკვნის ანარეკლი, მაგრამ ჩვენმა წყალბურთელებმა რომ მართლაც მოხიბლეს მაყურებლებიც და სპეციალისტებიც თავიანთი გააზრებული, ლამაზი და რაც. მთავარია, შემტევი თამაშით (რაც ყოველთვის მთავარი ღირსება იყო წყალბურთის ქართული სკოლისა), ეს ფაქტია.

მაგრამ სპარტაკიადის ტურნირი ერთი შეჯიბრებაა. ერთხელ მოპოვებული მედლების ელვარება კი თაობებს გზას ვერ გაუნათებს. საჭიროა, ქართული წყალბურთის უხვი „კოლექცია“ კიდევ უფრო გავამდიდროთ. ამისათვის კი არა მარტო ამ ჩემპიონების შენარჩუნება გვმართებს, არამედ, უმრავი პრობლემის მოგვარება, რაც ხელს უშლის (და უშლიდა) კარგად დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანას.

საქართველოს ჭაბუკ წყალბურთელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი გურამ ნამგალაური და ბავშვთა და მოზარდთა წყალბურთის ოლიმპიური რეზერვის სპეციალიზებული სკოლის დირექტორი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი მერაბ ქართველიშვილი თანამოსაუბრეებად იმიტომ ვარჩიეთ, რომ, ჯერ ერთი, უმთავრესად მათ მხრებზე გადაიარა სპარტაკიადისათვის მზადების მთელმა სიმძიმემ და ისინი შესანიშნავად იცნობენ გუნდის თითოეულ წევრს, მეორეც — ქართულ წყალბურთში არსებული პრობლემები და პერსპექტივები არ არის მათთვის უცხო. ჩვენი დიალოგის დასაწყისშიც, ბუნებრივია, სპარტაკიადაზე მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვება გავიხსენეთ.

● **თუ ელოდით ამ წარმატებას?**

— **მ. ჭ.** წარმატებას ველოდით, მაგრამ ჩვენი ბიჭები თუ ასე შესანიშნავად, დაუმარცხებლად იასპარეზებდნენ მთელი ტურნირის მანძილზე, ეს ცოტა მოულოდნელი იყო ჩვენთვის.

— **გ. ნ.** დავეთანხმები მერაბს და დავძენ, რომ ყველაფერი გაკეთდა გამარჯვებისათვის. რესპუბლიკის სპორტსახკომმა, სახალხო განათლების სამინისტრომ, ბორჯომის, ტყიბულისა და ბათუმის საცურაო აუზების ხელმძღვანელებმა (აქ წინასატურნირო შეკრებებს გავდიოდით) ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ მიგვეღწია ასეთი მაღალი შედეგისათვის. ჩვენც ცდა არ დაგვიკლია და, რაც მთავარია, ბიჭებმა უჩვეულო მონდომება და თავდადება გამოიჩინეს, მთელი ტურნირი ისე ითამაშეს, ერთხელ სასაყვედუროდ არ გაუხდათ საქმე. წინასწარ არ ამბობენ, მაგრამ მაინც ვიტყვი — ქართულ წყალბურთს შესანიშნავი მომავალი ეზრდება.

მწვრთნელები ყოველთვის თავს ვარიდებთ, გამარჯვებული გუნდიდან გამოვყოთ ლიდერი, ის, ვისაც განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის გამარჯვებაში. მე მართლაც მიჭირს გუნდიდან ვისიმე განცალკევება, ვინმეს ღვაწლის სხვისაზე მაღლა დაყენება, მაგრამ ეს ფაქტი ჯიუტიცაა და სასიამოვნოც: გალაკტიონ ლაითაძე სასპარტაკიადო ტურნირის საუკეთესო მცველად აღიარეს.

— **მ. ჭ.** გარდა ამისა, რამდენიმე წყალბურთელი მიწვეულია ჭაბუკთა საკავშირო ნაკრებში, მაგრამ მანამდე არ მინდა მათი ვინაობის დასახელება, ვიდრე ნაკრების შემადგენლობაში თუ არა, შეკრებაზე მაინც არ ვიხილავთ.



● **სპეციალისტებში დამკვიდრდა ასეთი აზრი — ხომ არ აჯობებდა, ეს გუნდი არ „დაგვეფანტა“, ცოტა დაგვრხანებინა, კოლექტივი გაგვეძლიერებინა და ოსტატთა კიდევ ერთი გუნდი შეგვექმნა.**

— **მ. ჭ.** ამგვარი აზრი, ვიცი, არსებობს. დანამდვილებით ძნელია თქმა, რა პოტენციის მქონენი არიან ეს ბიჭები, მაგრამ დღეს თითოეული მათგანი რომ ნებისმიერ თანატოლ წყალბურთელს სჯობია რესპუბლიკაში, ეს ნაღდია.

— **გ. ნ.** მე დავამატებდი, რომ ამ გუნდის გარდა გვყავს მეორე არანაკლებ ძლიერი გუნდი—მათზე ერთი წლით უფროსი ასაკისა, რომელმაც შარშან სპორტსკოლების საკავშირო ჩემპიონატი მოიგო. გადავწყვიტეთ, საკავშირო სპარტაკიადაში გამარჯვებულთაგან 9 მოზარდი დავუმატოთ სპორტსკოლათა შორის გამარჯვებულებს და „ორი ჩემპიონი“ გუნდიდან ერთი ძლიერი კოლექტივი ჩამოვაყალიბოთ. ეს, ფაქტიურად, გუნდის შენარჩუნებაა. დეკემბერში ამ ახალშექმნილი გუნდით ჩავერთვებით 1973-74 წლებში დაბადებულ მოზარდთა საკავშირო ჩემპიონატში; მალე საქართველოს ჩემპიონატშიც ვიასპარეზებთ; თუ აქ გავიმარჯვეთ (რისი იმედიც გვაქვს), მზად ვართ, I ლიგაში გადასასვლელ ტურნირშიც ვითამაშოთ და ოსტატთა გუნდებს შევეპაჟქროთ. ოღონდ, ამისათვის გვჭირდება სათანადო ორგანიზაციების მატერიალური და მორალური მხარდაჭერა, რათა ის, რაც გუშინ ოცნება იყო, ხვალ რეალობად ვაქციოთ.

● **მაგრამ ამ ჭაბუკებმა, დიდიდი ორ ათეულ წელს ზიდონ ქართული წყალბურთის მძიმე ტვირთი, მომავლისათვის კი საფუძველი წინდაწინ უნდა შემზადდეს. თანამედროვე მსოფლიოს მოწინავე ქვეუნებს თუ გადავხედავთ, ყველა მოზარდს ეზოში თუ არა, უბანში მაინც აქვს საცურაო აუზი, წყალბურთის კვალიფიციური მწვრთნელებით „აღჭურვილი“. ჩვენ კი ვერც აუზების ხიმრავლით დავიკვეხნით, მით უმეტეს, ისეთით, წყალბურთელებს რომ გამოადგებათ, და ვერც მწვრთნელთა სიმრავლით. არადა, ბაზების გარეშე ძნელია მომავალ წარმატებებზე ფიქრი.**

— **მ. ჭ.** საქართველოს ნაკრებ გუნდებს ძირითადად ხუთი ქალაქი „ამარაგებს“ წყალბურთელებით — თბილისი, ქუთაისი, რუსთავი, ბათუმი და სოხუმი. სპარტაკიადის ჩემპიონებიც ამ ქალაქებიდან არიან — 10 კაცი თბილისელია, 2 — ქუთაისელი, 1 — რუსთაველი. რა მდგომარეობაა ამ ქალაქებში ბაზების რაოდენობისა და ხარისხიანობის მხრივ, ეს ცალკე საუბრის თემაა და მეტად მტკივნეულიც, მაგრამ ის, რომ ჩვენს აუზებიც კი არაა ყველა საკითხი რიგზე, შემაშფოთებელია. შემაშფოთებელი იმიტომ, რომ ჩვენი სკოლა წყალბურთის ერთადერთი სპეციალიზებული სკოლაა და მისი აუზებით მხოლოდ წყალბურთელები სარგებლობენ, მაგრამ შესაფერისი გათბობის უქონლობის გამო ზამთარში თითქმის შეწყვეტილია საწვრთნელი პროცესი. არ ვიცი, სხვა ქალაქებში იქნებ, გათბობა ნორმალური ჰქონდეთ, მაგრამ ყველგან არის ერთი შეუსაბამობა — წყლის სახეობის წარმომადგენლები — წყალბურთელები, მოცურავეები, წყალში მხტომელები და სინქრონული მოცურავეები — ერთ აუზში ვარჯიშობენ და ეს მრავალ გადაუჭრელ პრობლემას ქმნის. საჭიროა, როგორც წყალბურთელებს, ასევე სხვა სახეობათა მომდევრებს, გამოეყოს ცალკეული აუზები, და ეჭვი არ მეპარება, შედეგიც უკეთესი გვექნება.

რაც შეეხება აუზების დეფიციტს, მისი მოგვარება გარკვეულ დროს მოითხოვს. ზოგიერთ ქალაქში არ არის აუზები, მაგრამ არიან ნიჭიერი ბავშვები, რომლებიც სხვადასხვა საშუალებებით ახერხებენ რომელიმე ქალაქში წყალბურთის ანბანის დაუფლებას, ზოგან კი (ხობში, ფოთში, ტყიბულში, ლანჩხუთში) არის აუზები, მაგრამ არ არიან მწვრთნელები, რომლებიც გახსნიან წყალბურთის ჯგუფებს და ავარჯიშებენ ნორჩებს. ერთი სიტყვით, მწვრთნელთა და აუზთა სიმცირე — ეს ორივე საკითხი ერთმანეთსაა გადაჯდობილი და საჭიროა მათი. რაც შეიძლება მოკლე დროში მოგვარება. ეს საუკეთესო გარანტია იქნება მომავალი წარმატებისა.

ლევან ჯავახიშვილი

კალათბურთში ვაჟთა შორის რესპუბლიკური ჩემპიონატის განახლების წინ

ვიყოთ მიტევებულნი

ანუ ზოგიერთი მოსაზრება კალათბურთის მსაჯებისა და მაყურებლების ურთიერთდამოკიდებულებაზე

მსაჯები და მაყურებლების ურთიერთდამოკიდებულების საკითხი საკმაოდ აქტიურია. მასზე მსჯელობა და დაუყოვნებლივ ზომების მიღებაა საჭირო, თორემ წარმოუდგენელი რამ ხდება კალათბურთის მატჩების დროს. იკითხავთ, რა არის ამ წარმოუდგენელი? — ერთმანეთის სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა, გაუთავებელი დავა-კინკლაობა მსაჯებთან ყოველ სასტვენზე. უფრო მეტიც: წარმოიდგინეთ, ძალიან გვიჭირს ამ სიტყვების თქმა, ბოდიშსაც კი მოვიხდით მკითხველის წინაშე — უწმაწური სიტყვების კორიანტელი, დედის გინებაც კი. და ეს — თამაშის მსვლელობისას.

ზოგჯერ მოთამაშეებს ცუდ მაგალითს აძლევს თავად მწვრთნელიც, რომელიც წამდაუწუმ „აპროტესტებს“ მსაჯის გადაწყვეტილებას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მისი გუნდი აგებს. არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც გამარჯვებული გუნდის მწვრთნელიც კი გამოთქვამს უკმაყოფილებას — გაუთავებლად დავობს, ილანძღება, იგინება.

ასე ხდება, სამწუხაროდ, დღეს, საქართველოს ჩემპიონატების მატჩების დროს. მართლაც სამარცხვინოა. ამის შესახებ თავის დროზე „ლელო“ უკვე წერდა, მაგრამ — შეაყარე კედელს ცერცვი. საქმე არ გამოსწორდა და ამიტომაც არის, რომ ბოლო ხანს თავს არიდებენ მსაჯობას აღიარებული არბიტრები. მათ არ უჭირთ საერთაშორისო რანგის მატჩების მსაჯობა, და, როგორ ფიქრობთ, რესპუბლიკური პირველობის მატჩებს ვერ იმსაჯებენ?

რა თქმა უნდა, ყველა პრინციპულად და ობიექტურად გაართმევდა თავს თავის მოვალეობას, მოთამაშეები, მწვრთნელები, და ხშირად, გულშემატკივრებიც რომ წესიერად იქცეოდნენ.

ერთი წამით დავუშვათ, რომ მსაჯი შეცდა (ისიც ხომ ჩვეულებრივი ადამიანია!), მაშ რატომ არ უნდა შეგვეძლოს მიტევება? ნუთუ დაიკარგა ჩვენში ერთმანეთისადმი პატივისცემა, კულტურა, ქცევის ელემენტარული ნორმები?

ასეთი სამარცხვინო შემთხვევები მოხდა რესპუბლიკის მეათე სპარტაკიადის პროგრამით გამართულ ქალთა ტურნირზე, აგრეთვე, მინიკალათბურთელთა შეჯიბრებაზე ბავშვთა შორის. ამ უკანასკნელ ასპარეზობას ოთხი არბიტრი ემსახურებოდა: საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი როლანდ ხომერიკი, საკავშირო — სერგო მაღალაშვილი, გიოზ ოსიაშვილი და რესპუბლიკური კატეგორიისა გიორგი ამბარცუმიანი. საკითხავია, რატომ უნდა ემსაჯა როლანდ ხომერიკს, მაშინ, როდესაც იგი რესპუბლიკის სპორტსახკომის სპორტული თამაშების განყოფილების უფროსია.

აქვე იმასაც ვიტყვით, რომ მსაჯები საერთოდ ცოტა გვყავს. და ეს მაშინ, როცა სომხეთს, აზერბაიჯანსა და ბალტიისპირეთს გაცილებით მეტი არბიტრი ჰყავთ უმაღლეს და პირველ ლიგაში. ვითომ ისინი ჩვენს მსაჯებზე უფრო კვალიფიციურნი არიან? ჩვენთან აღარ მზადდება მსაჯები? ვფიქრობთ, ეს ძალზე მნიშვნელოვანი საკითხია და სერიოზულ მსჯელობას და დაფიქრებას მოითხოვს.

დღეს განახლდება რესპუბლიკური ჩემპიონატის (ვაჟები) ფინალური მატჩები. რა არის საჭირო, რომ ისინი ნორმალურ პირობებში ჩატარდეს? — პირველ რიგში, მსაჯები უნდა იყვნენ ობიექტურნი, ხოლო მოთამაშეები, მწვრთნელები და გულშემატკივრები — ერთმანეთის მიმართ მიმტევებელნი. პატივი ვცეთ ურთიერთს, დავაფასოთ ქართული კალათბურთი!

და თუ ვინმე მაინც დაარღვევს ეთიკურ ნორმებს, მოთამაშეებისა და მწვრთნელების, ასევე გუნდის მიმართ დაწესდეს მკაცრი მატერიალური სასჯელი.

თეიმურაზ მორგოშია

საგარეჯოსაც ესტუმრა მკლავჭიდი

უკანასკნელ ხანს არაერთი საინტერესო ასპარეზობა გაიმართა ჩვენთვის შედარებით ახალი სპორტის სახეობაში — მკლავჭიდში. ამჯერად საგარეჯოელმა ვაჟკაცებმა გამოცადეს მკლავის ძალა. რაინონის სპორტდარბაზში უამრავმა მაყურებელმა მოიყარა თავი, რომელთა განსაკუთრებული დაინტერესებაც გამოიწვია საქართველოს ნაკრების უძლიერესი მკლავჭიდელის ზაურ ცხადაძის სტუმრობამ. მან საჩვენებელი შეხვედრები ჩაატარა საგარეჯოელ სპორტსმენებთან. ამის შემდეგ წონით კატეგორიებში მოასპარეზე მკლავჭიდელებმა გააჩაღეს საინტერესო ორთაბრძოლები. 80 კგ წონაში პირველობა არავის დაუთმო გარეჯელმა დავით კოტაშვილმა, უფრო მძიმე წონის მორკალებში კი — კაკაბეთელმა დავით ბუზარაშვილმა. გამარჯვებულ სპორტსმენებს გადაეცათ ფულადი ჯილდოები.

გაბრიელ ბარჯაძე

„ივერია“ ფრთებს შლის

ხარკოვი. ნიჭიერი და პერსპექტიული ველოსიპედისტები, როგორც წესი, ოლიმპიური მომზადების ცენტრებში არიან თავმოყრილნი. სწორედ ამიტომ, ყოველი შეჯიბრება ამ ცენტრებს შორის ველოსპორტის თავისებური. დღესასწაულია და გამარჯვებულ სპორტსმენებს გზას უხსნის დიდი სპორტისაკენ.

ამ დღეებში, ხარკოვის ტრეკზე გაიმართა ერთი ასეთი შეჯიბრება, რომელშიც სხვებთან ერთად თავი გამოიჩინეს საქართველოს ველოსიპედისტებმაც („ივერია“). ასპარეზობის პროგრამაში იყო გიტი 500 მეტრზე ადგილიდან, სპრინტი და გიტი 200 მეტრზე სვლით.

იუნიორთა შორის ივერიელმა მირიან დოლიძემ გაიმარჯვა სპრინტერთა შეჯიბრებაში და მეორე ადგილი დაიკავა 200 მეტრზე რბოლაში.

ჭაბუკთა შეჯიბრებაში, როგორც მოსალოდნელი იყო, კონკურენტი არ ჰყოლია მოსწავლეთა წლევანდელი საკავშირო სპარტაკიადის ტრიუმფატორს ვალერი პოტაპოვს. მან გამარჯვება მოიპოვა ორ დისტანციაზე — 200 და 500 მეტრზე გიტი. ამავე სახეობაში გიორგი შენგელია მეშვიდე იყო.

საქართველოს ოლიმპიური მომზადების ცენტრის „ივერიის“ ველოსიპედისტებმა საერთო გუნდურ ჩათვლაში II საპრიზო ადგილი დაიკავეს.

მეთორმეტე ტურის მიმოხილვისას ინფორმაციის არქონის გამო ვერ გაუწყეთ ტურის ორი შეხვედრის შედეგი. დღეს გაცნობებთ, რომ ქუთაისში ადგილობრივმა „გელათმა“ დაამარცხა ჭიათურის „იმერეთი“ — 11:4 და სათავეში მოექცა სანუგეშო ჯგუფის (V-XII ადგილები) ცხრილს, „ზოოვეტმა“ კი მოუგო „აკადემიას“ — 12:8.

დღეისათვის სატურნირო ცხრილი ასე გამოიყურება:

საქართველოს XXIII ჩემპიონატი რაგბიში

ანგარიშები, ცხრილები, ანონსი

უძლიერესთა ჯგუფი
(I-IV ადგილებისათვის)

	თ.	მ.	ფ.	წ.	ქ.
„ელმავალი“	9	9	0	0	18
„მიმინო“	12	8	1	3	17
„ახოცვაცია“	12	8	1	3	17
„ვია“ (ქუთ.)	9	8	0	1	16

სანუგეშო ჯგუფი
(V-XII ადგილებისათვის)

„გელათი“ (ქუთ.)	12	7	0	5	14
„იმერეთი“ (ჭიათ.)	12	5	1	6	11
„აკადემია“	12	5	1	6	11
სტუ	11	5	0	6	10
„შევარდენი“	12	4	0	8	8
„ზოოვეტი“	12	3	0	9	6
„სათაფლია“ (წყ.)	11	2	0	9	4
„უნივერსიტეტი“	12	2	0	10	4

მომდევნო ტურის შეხვედრები გაიმართება კვირას, 30 სექტემბერს. თბილისში, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტადიონზე „უნივერსიტეტი“ უმასპინძლებს „შევარდენს“. შეხვედრა 16 საათზე დაიწყება. წყალტუბოში, ადგილობრივი „სათაფლია“ „აკადემიას“ მიიღებს, ხოლო ჭიათურაში „იმერეთი“ ეთამაშება „ზოოვეტს“. ამ ტურის კიდევ ერთი მატჩი (სტუ—„გელათი“) 3 ოქტომბერს მოეწყობა.

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ჯგუფი

გაიმართა რესპუბლიკის ჩაფეხბურთი ჩემპიონატის XIX ტურის გამოტოვებული მატჩები

„ცხუმი“ (ხოხუმი) — „კოლხეთი“ (ხობი) 1:0 (0:0)

ხოხუმი. ცენტრალური სტადიონი. 27 სექტემბერი.

„ცხუმი“: ყორყოლიანი, ჩიხრაძე, ფარულავა, დოჩია, მალანია, ინალიშვილი, მ. ჯიშკარიანი, პაპავა, გადელია (თ. ხიბინავა), გაბესკირია, კურგენიანი.

„კოლხეთი“: ბაბუაძე, გვახალია, კაციტაძე, ფარფალია, ლატარია, მამფორია, ბაკურაძე, რუხაძე, კალუჟა, ე. თევზაძე, ჭიბინაძე (გ. ხურცილავა).

მსაჯები: ო. გუნთაძე, ა. ნერეთელი (ორივე — თბილისი), ვ. გვიჩია (ლანჩხუთი).

გააფრთხილეს გ. ინალიშვილი.

ამ გუნდების შეხვედრა 8 აგვისტოს უნდა გამართულიყო, მაგრამ „ცხუმის“ თურქეთში გამგზავრების გამო, მე-19 ტურის ეს მატჩი გადაიდო.

თამაშის პირველი წუთებიდანვე აშკარად ჩანდა, რომ სოხუმელები რევანშის ასაღებად იბრძოდნენ, რადგან პირველ წრეში ჩემპიონატის დასაწყისში ახლად შექმნილმა კოლექტივმა მარცხი განიცადა ხობში „კოლხეთთან“ — 0:1 და აი, მეოთხე და მეხუთე წუთზე სახიფათო რიდეები განახორციელეს მ. ჯიშკარიანმა და გადელიამ, მაგრამ სტუმართა მეკარემ შესანიშნავად ითამაშა, მეთხუთმეტე წუთზე კი მას კარის ძელიც „დაეხმარა“ გადელიას მიერ დარტყმული ბურთის მოგერიებაში. სტუმრებმა რამდენიმე კონტრიერიში განახორციელეს, მაგრამ პირველი ტაიმი „უშედეგოდ“ დამთავრდა.

შეხვედრის მეორე ნახევარი სოხუმელთა აქტიურობით გამოირჩეოდა. მასპინძლები საგოლე მომენტებს კი ქმნიდნენ, მაგრამ მათი დაბოლოებისას საჭირო სიზუსტეს ვერ იჩენდნენ.

გულშემატკივრებს უკვე იმედი გადაეწურათ, რომ ბოლო ორ წუთში ფორტუნამ გაუღიმა სოხუმელებს — 89-ე წუთზე ინალიშვილმა ლამაზი დარტყმით მოათავსა ბურთი სტუმართა კარში. მატჩის ბოლო წუთზე ხობელებმა საკუთარ საჯარიმოში წააქცეს ინალიშვილი, მაგრამ მალანიამ პენალტი ვერ გამოიყენა. მის მიერ დარტყმული ბურთი ასცდა კარს.

თეიგიზ პაპკორია,
„ლელოს“ ხაკ. კორ.

„ბორდა“ (რუსთავი) — „ბათუმი“ (ბათუმი) 3:0 (1:0).

რუსთავი. „ფოლადის“ სტადიონი. 27 სექტემბერი.

„ბორდა“: მეშკოვი, ფირცხალავა, ავაქიანი, კუდინოვი, ქასრაშვილი, კილასონია, ტ. კაპანაძე, მეტრეველი (ალადაშვილი), ა. კაპანაძე, ფანცულაია, მიქაშავიძე.

„ბათუმი“: ბალაძე, გოგიტიძე, მჭედლიშვილი, დურდაძე, კიკლიაშვილი, ზედანია, შ. მახარაძე, მაჭუტაძე, შანიძე (შეყილაძე), ტუღუში, მაისურაძე.

მსაჯები: მ. ჭელიძე, ა. შილაკაძე (ორივე — თბილისი), ა. ყიფიაშვილი (მცხეთა).

თამაში პირველი წუთებიდან დინამიურად, სწრაფად მიმდინარეობდა, ორივე გუნდმა ზედიზედ ვერ გამოიყენა ბურთის გატანის რამდენიმე შესაძლებლობა, შემდეგ ტ. კაპანაძემ იმარჯვა დწ ანგარიშიც გახსნა — 1:0.

მეორე ნახევარში გუნდები კვლავ აქტიურად, შემტევად თამაშობდნენ. მიმდინარეობდა მე-60 წუთი, როცა ხსევ ტ. კაპანაძემ შორი მანძილიდან ზუსტად გაგზავნა მეორე ბურთი ბალაძის კარში. ამის შემდეგ სტუმრები თითქოს შეურიგდნენ მარცხს, ისინი უკვე უინიციატივოდაც გამოიყურებოდნენ, რაც კარგად გამოიყენა მიქაშავიძემ — მან თავს ზემოთ გადაუგდო ბურთი წინ გამოსულ მეკარეს — 3:0.

აკაკი უანდიაშვილი,
(„ლელოს“ ხაკ. კორ.)

„კოლხეთი-1913“ (ფოთი) — „იბერია“ (თბილისი) 1:2 (0:0).

ფოთი. „ფაზისის“ სტადიონი. 27 სექტემბერი.

„კოლხეთი-1913“: ბგანალია, კაკაჩია (ქორჩილავა), ქაჯაია, გიორგაძე, გოგიტიძე, შამათავა, თოფურია, მახარაძე, ჭყონია, თვარაძე, ავრამიდისი (ინიაშვილი).

„იბერია“: ხაპოვი, არზიანი, ცხადაძე, ქველაძე, ჯიშკარიანი, რევიშვილი, ქეცბაია, ჩიქოვანი, ყაველაშვილი, გურული, გოგიჩაიშვილი.

მსაჯები: ლ. ჩიტაია, ვ. ეჯიბია, თ. კურტანაძე, (ყველა — თბილისი).

გაიოზ ჯეჯელავა

ქართული ფეხბურთის მოყვარულები აღმერთებდნენ მას.

...ვინ როგორ ისწავლა ფეხბურთის თამაში, ვინ — როგორ. გაიოზ ჯეჯელავამ მაშინდელ პლეხანოვის პროსპექტზე აიდგა ფეხი როგორც ფეხბურთელმა. იქვე ცხოვრობდა, ბაქოს ქუჩაზე, სკოლაში რომ მიდიოდა, პატარა მრგვალ ქვასთან ცარიელ კონსერვის კოლოფს მიაგორებდა ფეხით. სასწავლებლიდან დაბრუნებისასაც ასევე „ბურთაობით“ მოდიოდა. უკვირდათ გაიოზის დედ-მამას: უფროსი ვაჟის ფეხსაცმელი დიდი-დიდი ერთი კვირა ძლებდა, თანაც, რატომღაც, მარჯვენა უფრო ადრე ცვდებოდა. პატარა გაიოზმაც (იგი მაშინ 11 წლისა იყო) მერე ეშმაკობას მიმართა — ახლა სანახევროდ მარცხენა ფეხით მიაგორებდა ხოლმე თავის „ბურთს“...

— გზად ხშირ-ხშირად კინოთეატრ „აპოლოსთან“ მდებარე ძველი „დინამოს“ სტადიონზე შევდიოდი. კარის ძელთან ვდგებოდი და თვალს ვადევნებდი ფეხბურთელთა ვარჯიშს, — თანდათანობით „გვიკითხავს“ 75 წელს მიღწეული გაიოზ ჯეჯელავა წარსულის ფურცლებს, — სულ იმის ცდაში ვიყავი, შეუჩერებლად მომეგერიებინა ლევან აბაშიძის, მიხეილ იამშანოვის, ევგენი ფრუეძისა და სხვათა დარტყმული ბურთები.

ერთხელ უფროსებმა პატარა გაიოზი ორმხრივ თამაშში ჩართეს — ისე, თავიანთ შემადგენლობაში რიცხობრივი „წონასწორობის“ დასაცავად. მომავალმა ოსტატმა ერთიორჯერ ოტია ჟორდანიაც კი მოატყუა. ოტიამ სარმა გამოსდო „თავხედ“ ფეხბურთელს, ამისათვის კი, რბილად რომ ვთქვათ, კარგი მაგარი შეგონება მიიღო იქვე მყოფი ანდრო ჟორდანიასგან.

იმ დღიდან მოყოლებული გაიოზს სკოლის უფროსი ბიჭები უკვე რეგულარულად ათამაშებდნენ თვიანთ მატჩებში, ისიც ტოლს არავის უდებდა. მერე, ინდუსტრიულ ტექნიკუმში სწავლის დროს, როდესაც რკინიგზის დეპოში გადიოდა პრაქტიკას, ნამდვილ მატჩებშიც მოუხდა თამაში, ერთხელ დეპოელებს ფეხბურთელი დააკლდათ, მწვრთნელმაც „ერკოოპის“ (გაერთიანებული კოოპერატივი) გუნდის წინააღმდეგ „პრაქტიკანტი“ გამოიყვანა: „წინ დადექი, მარცხნივ, ხელი შეუშალე შეტოქეს!“, მაგრამ რის „ხელი შეუშალე“ — გაიოზი თავად გახდა „დასაჭერი“, ზედიზედ უსხლტებოდა მცველს — კოსტია ონისკოს და იმ დღეს სამი ბურთიც გაიტანა. ეს იყო გ. ჯეჯელავას პირველი „ჰეთ-თრიკი“.

...ერთ გაზაფხულზე თბილისში ჩამოვიდა ქვეყნის მაშინდელი ჩემპიონი ხარკოვის ნაკრები, რომელშიც ცნობილი ოსტატები პრივალოვი, ფომინი, პროკოფიევი და სხვები თამაშობდნენ. „ტსპო“-ს გუნდის ხელმძღვანელობამ თავის შემადგენლობაში გ. ჯეჯელავაც მიიწვია ნესტორ და შალვა ჩხატარაშვილების, ჩერედნიჩენკოს, ოვინიაშვილის, ვორონოვის გვერდით. ახალგაზრდა ფეხბურთელი არ დაიბნია ასეთმა ავტორიტეტებმა და უკვე მეხუთე წუთზე გაიტანა გოლი, მერე მშვენიერი პასი გადასცა ჩერედნიჩენკოს.

— შინ გვიან მივედი: ვმეცადინეობდით-მეთქი თანაჯგუფელები — ვიმართლე თავი. მგონი გასჭრა. მაგრამ, ხომ გაგიგონიათ, ტყუილს მოკლე ფეხი აქვსო... დილაადრიან მამამ გამაღვიძა: „ესე იგი, მეცადინეობდით, არა?!“ და... გაზეთ „მუშის“ ნომერი მომაწოდა — „მართალია, ახალგაზრდა ფეხბურთელმა ჯეჯელავამ დიდხანს არ ითამაშა, მაგრამ კარგად ითამაშა და, ალბათ, მისგან კარგი ფეხბურთელი დადგება“ — ეწერა მატჩის ინფორმაციაში. შევატყვე, რომ მამა მოლბა: „ითამაშე რამდენიც გინდა, ოღონდ სწავლას არ ჩამორჩე!“

თბილისში 1936 წელს ახალი გუნდი შეიქმნა — „ლოკომოტივი“, „ტსპო“-სა და დეპოს გუნდების ბაზაზე. მასში გაიოზიც ჩარიცხეს. ერთი წლის შემდეგ — 1937 წლის 30 ივლისს გ. ჯეჯელავას სახელგანთქმული ბასკების გუნდის წინააღმდეგ თამაშმა მოუწია, ეს იყო საქართველოს ნაკრების პირველი საერთაშორისო მატჩი. უნდა ითქვას, რომ უმრავლესობა წინააღმდეგი იყო ახალგაზრდა ფეხბურთელის გამოყვანისა — გამოუცდელია, დაიბნევაო. ბოლოს მაინც ათამაშეს, თუმცა მარცხენა ფლანგზე. მარჯვნივ ხომ თვით თენგიზ გავაშელი თამაშობდა. როგორც ბატონი გაიოზი იხსენებს, ამ მატჩში მან ყველაზე დასამახსოვრებელი მომენტი 25-ე წუთზე შექმნა, როდესაც უძლიერესი დარტყმით ბურთი... კარის უკან მდგარ ფოტორეპორტიორს მოახვედრა და ხელიდან გააგდებინა აპარატი. მეორე ტაიმში ჯეჯელავა აღარ ათამაშეს, მაგრამ, მისდა სასიხარულოდ, „დინამოში“ აიყვანეს. ჯერ სათადარიგოთა შორის იყო, მაგრამ ქვეყნის ჩემპიონატის ერთ-ერთ მატჩზე იგი მინდორზე შემოიყვანეს „თავის“ ადგილზე. დებიუტანტმა მთლად „აურ-დაურია“ სტუმართა დაცვა და ორი გოლიც გაიტანა.

— ახლა მოსკოვში გვქონდა თამაში „ტორპედოსთან“, კვლავ არ უნდოდათ ჩემი გამოყვანა. მთელი საათი კამათობდნენ მწვრთნელი ა. სოკოლოვი და ჩვენი კაპიტანი შოთა შავგულიძე. ბოლოს გადაწყვიტეს გამოვეყვანე. 1938 წლის სეზონი იყო...

აქ შევწყვეტთ ბატონ გაიოზის სიტყვას და თავად მოგახსენებთ. ეს იყო სპორტის დამსახურებული ოსტატის გაიოზ ჯეჯელავას ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი მთელი მისი ხანგრძლივი საფეხბურთო კარიერის მანძილზე. მაშინდელმა გაზეთებმა ქებით აღსავსე სტრიქონები მიუძღვნეს მატჩს.

● თბილისის დინამოელებს ომამდე ორჯერ მაინც შეგეძლოთ ჩემპიონობის მოპოვება. ბედი არ გწყალობდათ თუ?...

— აი, სწორედ ეს „თუ“ — რაც უხეირო მსაჯი იყო, ჩვენს მატჩებზე ინიშნებოდა, მეტწილად, მოსკოველები იყვნენ. თუ კვალიფიციურ. არბიტრს გვინიშნავდნენ, მაშინ სპეციალურ დავალებას აძლევდნენ — ჩვენს წინააღმდეგ მეთორმეტე მოთამაშის „ფუნქციების“ შესრულებას. დინამოელებს ბევრი სიმწარე გვახსოვს ლატიშევისგან, მოგვიანებით — ბალაკინისგან, ცაპოვეცკისგან.

● თქვენი ერთი ჩვევა მომაგონდა: ხელით რომ აჩვენებდით მცველებს, ბურთს იქით გადავაწვდიო და ისინიც სწორედ ნაჩვენები მხარისკენ გარბოდნენ...

— ასეთი „ფინტისთვის“ ერთხელ ვიქტორ პანიუკოვი გამიბრაზდა კიდეც: ხელით ვანიშნე, წინ გავარდი-მეთქი. ისიც გაექანა კარისკენ, თან მცველები გაიყოლია, მე „დერეფანი“ გამითავისუფლა და მეკარის პირისპირ აღმოვჩნდი. ასე გავაკეთე ერთ მატჩში ორჯერ თუ სამჯერ. პანიუკოვი მთლად „გაიქაფა“ უქმად სირბილით და გაბრაზებულმა მომმახალა: „სლუშაი, ტი იხ ობმანივაეშ, ილი მენია?“

● მწვრთნელობა თბილისის ფეხბურთის 35-ე სკოლაში დაიწყეთ. თუ არ ვცდებით, 1948 წელს...

— ოფიციალურად ასეა, რადგანაც თამაში მე სწორედ იმ სეზონში დავამთავრე, მაგრამ საქმე ისაა, რომ ჯერ კიდევ „დინამოში“ თამაშის პერიოდში ვეხმარებოდი მწვრთნელებს ფეხბურთის ამ სპეციალიზებული სკოლის შექმნასა და ვარჯიშში. სკოლის უფროს მწვრთნელად ჩემი ძმა ჯუანშერი დანიშნეს. ჩემთან ერთად მუშაობდნენ ოტია ჟორდანია, ჯონდო შავდია, ვალოდია გვარჯალაძე და ყველასათვის ნაცნობი „ფიზრუკი“ — შოთა მერკვილაძე. მოგვიანებით სპარტაკ ჯეჯელავაც შემოგვიერთდა.

● ორი წელიწადი იმუშავეთ ამ სკოლაში, მრავალი ხაბელმოხვეჭილი ოსტატი რომ გაზარდა — შოთა იამანიძე, მიხეილ მეხხი, ზაურ კალოევი, ძმები კოტრიკაძეები, ხულიკო თორაძე, არჩილ კილაძე, ავთანდილ ჭკუასელი, ავთანდილ ხელაძე, მოხე დავარაშვილი, შოთა კოტია, ლევან ჟორდანია, რობერტ ჭანკვალეიშვილი...

— ჩემი აზრით, მაშინ საერთოდ გაცილებით მეტი სიყვარული იყო ფეხბურთისადმი, — უანგარობა, თავდადება, მონდომება, დაუღალავი შრომა. სხვათა შორის, მომავალი ოსტატები კარგადაც სწავლობდნენ. ეს სკოლა ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლებოდა რაიონშიც და მთელს თბილისშიც. წესად შემოვიღეთ: ვინც ორიანს მიიღებდა, ვარჯიშს უნდა დასწრებოდა ფორმით, მივცემდით ბურთსაც, მაგრამ ვარჯიშის უფლება არ ჰქონდა. და ასე, სანამ ნიშანს არ გამოასწორებდა. აი, ხუთიანის მიმღებს კი სახლში ვატანდით ბურთს ინდივიდუალური ვარჯიშისთვის.

● რა უფრო ძნელია — ფეხბურთელობა თუ მწვრთნელობა?

— ორივე ერთნაირად ძნელია. ისე კი მოთამაშეს უფრო... ფეხის ძალა სჭირდება, მწვრთნელს კი, ასე ვთქვათ, თავისა. გარდა ამისა, მწვრთნელმა, მართლაც, იმდენი „ენა“ უნდა იცოდეს, რამდენი მოთამაშეც ჰყავს. სულ სხვადასხვაგვარად ველაპარაკებოდი, ვთქვათ, ავთანდილ ღოღობერიძეს თუ მიხეილ მესხს, ვლადიმერ მარღანიას თუ სერგო კოტრიკაძეს და ასე შემდეგ. ბარემ აქვე ვიტყვი, რომ მწვრთნელის იდეალად მომაჩნია მიხეილ იაკუშინი, მიხეილ ბუტუსოვი, ბორის არკადიევი, გავრილ კაჩალინი და, რა თქმა უნდა, ჩვენი ანდრო ჟორდანია.

● ორი წიგნის აქტორი ხართ — „ქართველი ფეხბურთელები იერუსალიმსა და რუმინეთში“ და „მოძრავი თამაშობანი ფეხბურთელთა“. ორივე 1947 წელს გამოვიდა.

— თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ რუმინეთში ტურნეს დროს მე ოფიციალურად მქონდა დავალებული „კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტობა (სხვათა შორის, ბორის პაიჭაძე მაშინ „ზარია ვოსტოკას“ კორესპონდენტი იყო), ამას გარდა, რამდენჯერმე გამოვსულვარ „კრასნი სპორტის“, „ლელოს“, ივანოვოს „რაბოჩი კრაის“ ფურცლებზე და, საერთოდ, მუდამ ვწერდი დღიურებსა და საფეხბურთო მასალებს ,ვაგროვებდი, ალბათ, თქვენს „კოლეგად“ უნდა მიგულოთ.

თბილისის „დინამოში“ მუდამ იყვნენ საუკეთესო მარჯვენა გარემარბები: თენგიზ გავაშელი, ილია პანინი, მიხეილ ჯოჯუა, სლავა მეტრეველი, თენგიზ მელაშვილი, ილია დათუნაშვილი, ვლადიმერ გუცაევი. აი, „ფინტების მეფეს“ — გაიოზ ჯეჯელავას, შეიძლება ითქვას, რაღაც განსაკუთრებული, განუმეორებელი ადგილი უჭირავს მათ შორის: მაღალტექნიკური, სწრაფი, დინამიური, „აკრობატული“ ფეხბურთელი იყო. ამიტომ არც გაგვკვირვებია, როდესაც 1938 წელს — საბჭოთა ფეხბურთის პირველი რეფერენდუმის — „55 საუკეთესო“ — შედეგით გ. ჯეჯელავა მარჯვენა გარემარბებს შორის პირველ ნომრად დაასახელეს, ხოლო 1940 წელს იგი საბჭოთა კავშირის ყველაზე პოპულარული 10 სპორტსმენის სიაში შეიყვანეს სახელგანთქმულ მძლეოსნებთან — სერაფიმ ზნამენსკისთან და ფეოდორ ვანინთან, ველოსიპედისტ ვენიამინ ბატაენთან, ტანმოვარჯიშე აჯათ იბადულაევთან, ფეხბურთელებთან—მიხეილ იაკუშინთან, ანატოლი აკიმოვთან, გრიგორი ფედოტოვთან, სერგეი სოლოვიოვთან ერთად.

ქართველი ფეხბურთის მოყვარულები მართლაც რომ აღმერთებდნენ მას...

ოთარ ნოზაძე

გაიოზ ჯეჯელავა უტევს მოსკოველ არმიელთა მეკარეს ვლადიმერ ნიკანოროვს.

ფოტო „ლელოს“ არქივიდან

I ჯგუფი

„ჩიხურა“ (საჩხერე) — ფიზკ. ინსტ. (თბილისი) 0:0. მსაჯი ზ. ჯინჭარაძე (ოზურგეთი).

მსაჯის სიტყვიერი შეურაცხყოფისათვის მოედნიდან გააძევეს გ. ქავკარაძე (ფიზ. ინსტ.).

„ხულორი“ (ვანი) — „არმაზი“ (მცხეთა) 2:2. მსაჯი ო. გუნთაძე (თბილისი). გოლები: ვერულაშვილი, ორმოცაძე, პაიკიძე-4 („სულორი“), სონღულაშვილი, ტ. კანდელაკი („არმაზი“).

მსაჯთან კამათისთვის გააფრთხილეს გ. ბრეგვაძე, ხოლო განზრახ ხელით თამაშისთვის რ. კანკაძე (ორივე — „სულორი“).

„სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) — „მარგვეთი“ (ზესტაფონი) 2:2. მსაჯი გ. ხეფიაშვილი (თბილისი). გოლები: ჯ. ახალაია, მ. ახალაია („სამეგრელო“), ნ. კიკნაძე, ვ. ფოცხვერაშვილი („მარგვეთი“).

მსაჯთან კამათისთვის გააფრთხილეს ვ. ფოცხვერაშვილი („მარგვეთი“).

„არაგვი“ (დუშეთი) — „დურუჯი“ (ყვარელი) 2:0. მსაჯი ნ. კილაძე (თბილისი). გოლები: მოსიაშვილი, მიმინოშვილი („არაგვი“).

„ბახტრიონი“ (ახმეტა) — „ქართლი“ (გორის რ-ნი) 3:1. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი). გოლები: წომიკურიძე, თედეშვილი, გაგნაშვილი („ბახტრიონი“), ტაბატაძე („ქართლი“).

„კახეთი“ (თელავი) — „ხაპოვნელა“ (თერჯოლა) 3:1. მსაჯი ტ. ნიშნიანიძე (თბილისი). გოლები: ჭვრიტიძე-3 („კახეთი“), ფანჩულიძე („ხაპოვნელა“).

ერთმანეთთან განზრახ უხეში თამაშისათვის მოედნიდან გაძევეს ზ. აფაქიძე („კახეთი“) და ა. კახიძე („ხაპოვნელა“).

„შუქურა“ (ქობულეთი) — „იმერეთი“ (ხონი) 2:0. მსაჯი რ. ჩიქოვანი (გაგრა). გოლები: ანანიძე, ოგანესიანი („შუქურა“).

„მაღაროელი“ (ჭიათურა) — „ალაზანი“ (გურჯაანი) 1:0. მსაჯი მ. კობიაშვილი (დუშეთი). გოლი: სამხარაძე („მაღაროელი“).

დროის გაყვანისათვის გაფრთხილებულია ჯ. გველესიანი („მაღაროელი“), მსაჯთან კამათისათვის ი. შუბითიძე („ალაზანი“).

„ხიხარული-90“ (გაგრა) — ხაქ. ტექ. უნივერსიტეტი 3:1. მსაჯი გ. კალანდია (ზუგდიდი). გოლები: სიჭინავა, გოგიაშვილი-2 („ხიხარული“), გეგეშიძე (ტექ. უნივ).

უხეში თამაშისთვის გაფრთხილებულია ა. ადამია („ხიხარული“), მსაჯთან კამათისთვის ო. ყიფიანი, გ. ოქროპირიძე და ა. კიურჯიევი, ხოლო განზრახ ხელით თამაშისათვის ე. ავალიანი (ყველა — ტექ. უნივ).

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 29 სექტემბრისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	გ.	ქ.
„მარგვეთი“ (ზესტაფონი)	28	19	3	6	64-31	60
„ხულორი“ (ვანი)	28	18	4	6	55-39	58
„ალაზანი“ (გურჯაანი)	28	18	4	6	51-26	58
„კახეთი“ (თელავი)	28	15	6	7	49-28	51
„არაგვი“ (დუშეთი)	28	13	9	6	45-37	48
„ხიხარული-90“ (გაგრა)	28	14	4	10	51-37	46
„ხიონი“ (ბოლნისი)	27	11	7	9	52-44	40
„ქართლი“ (გორის რ-ნი)	28	11	4	13	41-37	37
„მაღაროელი“ (ჭიათურა)	28	11	4	13	42-51	37
„იმერეთი“ (ხონი)	28	10	7	11	29-39	37
„შუქურა“ (ქობულეთი)	28	9	10	9	41-40	37
„არმაზი“ (მცხეთა)	28	10	6	12	44-53	36
„ხაპოვნელა“ (თერჯოლა)	28	10	5	13	36-39	35
„ჩიხურა“ (საჩხერე)	28	10	4	14	28-41	34
„ხვარი“ (წალენჯიხა)	27	9	5	13	49-52	32
„ბახტრიონი“ (ახმეტა)	28	8	7	13	32-54	31
„სამეგრელო“ (ჩხოროწყუ)	28	6	12	10	34-36	30
ფიზკ. ინსტ. (თბილისი)	28	6	8	14	31-48	26
სტუ	28	8	1	19	35-62	25
„დურუჯი“ (ყვარელი)	28	6	4	18	30-45	22

საკლუბო ტურნირების სტარტზე



დაიწყო ევროპის საკლუბო ტურნირები კალათბურთში.

კოტაკა -(ზიაეთი). კორაბის-თასის პირველ კალენდარულ მატჩში ადგილობრივმა კტრ-მ კიევის „ბუდიველნიკს“ უმასპინძლა. სტუმრებმა გაიმარჯვეს 88:84 (45:43).

ალმა-ათა. ამავე ტურნირში ადგილობრივმა არმიელებმა ბულგარეთის „აკადემიკი“ (ვარნა) მიიღეს. ალმაათელებმა გაიმარჯვეს 85:63 (43:18).

განმეორებითი მატჩები ერთი კვირის შემდეგ გაიმართება.

ჩოგბურთის ამბები

ბაზელი. აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირის მეორე წრეში ანდრეი ჩერკასოვმა დაამარცხა ამერიკელი ჯიმი ჯურიე 3:6, 6:2, 6:3 და მეოთხედფინალში გავიდა, სადაც მისი მეტოქე უფრო ტიტულოვანი ამერიკელი ჯონ მაკენროუ იქნება. რვა უძლიერესს შორის იასპარეზებენ, აგრეთვე, გორან ივანიშევიჩი (იუგოსლავია), იანიკ ნოა (საფრანგეთი) და სხვები. ტურნირის საპრიზო ფონდია 500 ათასი დოლარი.

ტოკიო. იაპონიის დედაქალაქიდან დროზე ადრე გაემგზავრება შინ მსოფლიოს მესამე ჩოგანი ქალთა შორის, იუგოსლავიელი მონიკა სელეში. მან ამერიკელ ემი ფრეზერთან ორთაბრძოლაში ტრავმა მიიღო, მთელი ძალით ვერ ითამაშა, დამარცხდა და გამოეთიშა ასპარეზობას. მარტინა ნავრატილოვამ დაამარცხა სტეფანია რეხე (ორივე — აშშ) 6:1, 6:3, კატერინა მალეევამ (ბულგარეთი) კი ჯობა 14 წლის ამერიკელ ჯენიფერ კაპრიატის 7:6, 3:6, 7:6.

პალერმო. სიცილიის ღია ჩემპიონატის პირველ ტურში დამარცხდნენ ესპანელი ჩოგბურთელები, რომლებმაც ამ დღეებში დევისის თასის გათამაშებიდან გამოდეშეს საბჭოთა ნაკრები. ემილიო სანჩესს ჯობა ფრანგმა ტარიკ ბენჰაბილემ 7:4, 6:4, სერხიო კაზალს — ჩეხოსლოვაკიელმა მარტინ შტრელბემ 6:4, 6:1. ესპანელთაგან ბრძოლას განაგრძობს ჩოგბურთელი, რომელიც დევისის თასზე ქვეყნის ეროვნულ ნაკრებში არც შეიყვანეს. ესაა ნავიერ სანჩესი, რომელმაც იენს ვერმანი (გფრ) დაამარცხა — 6:4, 6:3.

ლეიფციგი. აქ მიმდინარე სამდღიანმა ტურნირმა თავი მოუყარა ქალთა ჩოგბურთის თითქმის ყველა აღიარებულ ლიდერს. მერვედფინალში შტეფი გრაფმა (გფრ) დაამარცხა ლაურა გოლარსი (იტალია) 6:3, 6:2, არანტა სანჩესმა (ესპანეთი) — მერსედეს პასი (არგენტინა) 7:6, 6:3, კონჩიტა მარტინესმა (ესპანეთი) — კატარინა ლინდქვისტი (შვეცია) 6:3, 6:3, ხოლო კლაუდია კოდე-კილშმა (გფრ) — თანამემამულე ბარბარა რიტნერი 6:1, 6:1,

რედაქტორი

თენგიზ გაჩეჩილაძე

I ლიგა

გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა 34-ე ტურის მატჩები.

სოხუმის დინამოელები კიშინიოვში შეხვდნენ „ნისტრუს“. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 4:0.

ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები: „ზენიტი“ (ლენინგრადი) — „სპარტაკი“ (ვლადიკავკაზი) 1:1; „ნეფთჩი“ (ბაქო) — „კოტაიკი“ (აბოვიანი) 3:0; „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) — „ყუბანი“ (კრასნოდარი) 2:0; „ლოკომოტივი“ (ნიჟნი ნოვგოროდი) — „ტირასი“ (ტირასპოლი) 1:1; „ფაკელი“ (ვორონეჟი)— „ტავრია“ (სიმფეროპოლი) 0:1; „როსტსელმაში“ (როსტოვი) — „შინიკი“ (იაროსლავლი) 2:0; „დინამო“ (სტავროპოლი) — „გეოლოგი“ (ტიუმენი) 2:0, „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) 3:1; „კაირატი“ (ალმა-ათა) —„კუზბასი“ (კემეროვო) 2:1.

ხელგაშლილი იტალიელები!

როგორც იტალიური პრესა იუწყება, ამ ქვეყნის საზაფხულო „ბაზარზე“ ფეხბურთელების შესაძენად სხვადასხვა კლუბების მიერ დაიხარჯა 240 მილიონი დოლარი.

ეხპანურმა კლუბებმა, მაგალითად, ანალოგიურ მიზნებს ექვსჯერ ნაკლები თანხა მოახმარეს.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲐᲛ ᲙᲣᲗᲮᲔᲡ „ᲚᲔᲚᲝᲡ“ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ ᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲔᲑᲘᲗ ᲣᲗᲛᲝᲑᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲛᲝᲗᲐᲕᲐᲖᲔᲑᲣᲚ

ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲘᲬᲕᲔᲕᲔᲜ ᲙᲐᲮᲘ ᲐᲡᲐᲗᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲑᲐᲠᲥᲐᲘᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი აცხადებს 1980-1981 წ.წ. დაბადებული ბიჭების მიღებას სპეციალიზებულ ჯგუფებში, რომლებსაც ხაზოგადოებრივ საწყისებზე უხელმძღვანელებენ თბილისის „დინამოს“ განთქმული ფეხბურთელები კახი ასათიანი და ვლადიმერ ბარქაია.

ჯგუფებში მიღება ჩატარდება 13-14 და 20-21 ოქტომბერს „ნორჩი დინამოელის“ საფეხბურთო სკოლის მოედნებზე (მისამართი — მაიაკოვსკის ქუჩა, 4) 10-დან 14 საათამდე.

ბავშვებს თან უნდა ჰქონდეთ სპორტული ფორმა (კედები ან სპორტული ჩუსტები, მაისური, ტრუსები).

ცნობები ტელეფონით: 35-08-87; 35-19-25

სარეკლამო განცხადებებს



გათამაშდება სლავა მეტრეველის პრიზი

1990 წლის 30 ნოემბრიდან 2 დეკემბრამდე თბილისის სპორტის სახახლეში ტარდება საერთაშორისო ტურნირი საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა კავშირის პრიზზე. ამავე **ტურნირში გათამაშდება სახელოვანი ფეხბურთელის სლავა მეტრეველის სახელობის პრიზი.**

ნავარაუდევია ტურნირში იტალიის, გერმანიის, თურქეთის, ესპანეთის (ბასკები), საფრანგეთის და სხვა ვეტერანთა ეროვნული ნაკრებების თუ საკლუბო გუნდების მონაწილეობა.

ყველას, ვისაც სურვილი აქვს გაუწიოს სპონსორობა ტურნირს ან მიიღოს მონაწილეობა სპორტის სასახლის ტერიტორიაზე გამართულ ვაჭრობაში, გთხოვთ, მიმართოთ საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა კავშირს (წერეთლის გამზ. 2, ტელ.: 35-10-95).

ᲕᲘᲚᲔᲑᲗ ᲨᲔᲙᲕᲔᲗᲔᲑᲡ!

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ვეტერან ფეხბურთელთა კავშირის რეკლამისა და მარკეტინგის განყოფილება იღებს შეკვეთებს სპორტული კლუბების, გუნდების, დაწესებულებების, კოოპერატივებისა და სხვა ორგანიზაციების სრული საფირმო სტილის შემუშავებაზე.

მზა ნაწარმის ნომენკლატურით გათვალისწინებულია: ემბლემები, ლოგოტიპები (საფირმო ნიშნები), ვიმპელები, სახელოიანი და მოკლესახელოიანი საფეხბურთო მაისურების დეკორატიული გაფორმება, ნაწები, საკრედიტაციო რუკები, სადარბაზო ბარათები და სხვა ატრიბუტიკა.

გარანტირებულია სამუშაოთა მაღალი ხარისხი, რომლებსაც ვასრულებთ თანამედროვე ტექნოლოგიების, მასალებისა და საღებავების გამოყენებით.

პროდუქციის ნიმუშებს და ხელშეკრულების პირობებს შეგიძლიათ გაეცნოთ საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა კავშირის ოფისში (თბილისი, აკაკი წერეთლის პროსპექტი, 2, ეროვნული სტადიონი). ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 10-დან 18 საათამდე.

ცნობები ტელეფონით: 35-08-87; 35-19-25.

ᲣᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ!

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲓᲐ ᲙᲝᲝᲞᲔᲠᲐᲢᲘᲕᲘ „ᲝᲞᲘᲖᲐᲠᲘ“ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲜ

ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲡ

1990 წ. 30 ᲜᲝᲔᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ 2 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲐᲛᲓᲔ თბილისის სპორტის სახახლეში ტარდება საერთაშორისო ტურნირი ფეხბურთში საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა კავშირის პრიზზე. ამავე ტურნირზე გათამაშდება ჩვენი სახელოვანი ფეხბურთელის სლავა მეტრეველის სახელობის პრიზი.

კონკურსი ცხადდება ორი მთავარი პრიზის დამზადებზე:

საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა კავშირის საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებული გუნდისათვის და ს. მეტრეველის სახელობის პრიზი — ტურნირის საუკეთესო მოთამაშისათვის.

კონკურსში გამარჯვებულთათვის დაწესებულია პრემიები:

— ორი პირველი — ცალკეული პრიზებისათვის 2000-2000 მან.

— ორი მეორე — ცალკეული პრიზებისათვის 1000-1000 მან.

თასები კონკურსზე წარმოადგენეთ ნატურაში, არაუგვიანეს 10 ნოემბრისა.

კონკურსში მონაწილეებმა ნამუშევრები უნდა წარადგინონ საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა კავშირში (წერეთლის გამზ., 2).

კონკურსის დამატებით პირობებს შეგიძლიათ გაეცნოთ ტურნირის სპონსორის—კოოპერატივ „ოპიზარის“ გამგეობაში (ალ. ყაზბეგის ჩიხი, 4. ტელ. 39-82-79).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ



თბილისის ეროვნული სტადიონი
ა. წერეთლის გამზირი № 2
1 ოქტომბერი

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატი

„ᲘᲑᲔᲠᲘᲐ“ (ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ) — „ᲫᲣᲗᲐᲘᲡᲘ“ (ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ)

დასაწყისი 19 საათზე

მატჩზე დაშასწრები და ლატარიის ბილეთები გაიყიდება სტადიონის სალაროებში 30 სექტემბერს და 1 ოქტომბერს 10-დან 19 საათამდე (შესვენება 14-დან 15 საათამდე).



ᲤᲐᲚᲐᲕᲜᲔᲑᲝ, ᲡᲬᲝᲠᲓᲘᲗ!

3-დან 6 ოქტომბრის ჩათვლით თბილისის სპორტის სახახლეში ტარდება საკავშირო თასის გათამაშება

ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚ ᲰᲘᲓᲐᲝᲑᲐᲨᲘ.

მონაწილეობენ: მსოფლიოს, ევროპის, ოლიმპიური და საბჭოთა კავშირის ჩემპიონები და პრიზიორები.

ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ 11 ᲓᲐ 17 ᲡᲐᲐᲗᲖᲔ

ბილეთები იყიდება სპორტის სახახლის სალაროებში.

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა ლ. ჯავახიშვილი. კორექტორები მ. ძეძამიძე და ც. ჩიტიშვილი.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ:
წერილებისათვის — 380000, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ:
წერილების განყოფილება — 93-97-55, სამდივნო — 93-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54, „მერანი“ — 93-97-20, „მართვე“ — 93-97-27.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘ: 88435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

ხელნაწერი ავტორებს არ უბრუნდებათ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20